ლდო მზვანელი 15/V 1946 წ.

78 წლ

**სიტყვა ლაზარე ხმალაძის ცხედრის დასაფლავების დროს.**

ამხ. და პატივცემულო მოქალაქენო!

I, დღეს ვასაფლავებთ იმ ადამიანს, რომელიც 1888 წლ. დღემდე, თითქმის 60 წლის განმავლობაში, გულწრფელად და პატიოსნად ემსახურებოდა სახალხო განათლებასა და მოზარდი თაობის აღზრდას. ქართულმა სკოლამ, ქართულმა პედაგოგიკამ დაჰკარგა მეტად გამოცდილი და დახელოვნებული ხელმძღვანელი... დიახ, დღეს "ვაკის" აგარაკში სამუდამოდ მივაბარებთ ცივ სამარეს საქ. რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის, ორდენოსნის, ლაზარე ხმალაძის ცხედარს.

II { მის ხელში 58 წლის განმავლობაში რამდენიმე ათასეულ მოსწავლეს გაუვლია და დღეს ქალაქებსა და პროვინციებში მოღვაწეობენ მის ხელში აღზრდილი პროფესორები, ინჟინრები, ექიმები, მასწავლებლები, აგრონომები და სხვადასხვა პროფესიის ახალგაზრდები, რომელთა შორის ბევრი ჯდარით არის მოსილი. ამიტომ ლაზარეს ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკაში ყველგან იცნობდნენ და მისმა სიკვდილმა ყველას გული დასწყვიტა...

III { ლაზარე იყო გადმოსული ჯავახეთიდან, სწავლა-განათლება მიიღო იმერეთში, ხონის სამასწავლებლო სემინარიაში, სადაც აღიზარდა სახელმწიფო ხარჯზე. 20 წლის იყო, როდესაც დაამთავრა სემინარიის კურსი, და როგორც საუკეთესო ნიჭიერი კანდიდატი, იქვე

დაიწყეს სემინარიაში სანიმუშო სკოლის ხელმძღვანელად.

ოთხი წლის შემდეგ ლაზარე დანიშნეს მასწავლებლად სამეგ-
რელოში სუჯუნის ორკლასიან პირველდაწყებით სასწავლებელში. იმ დროს
სწავლა-განათლების საქმე ცარიზმისა და მისი მოხელეების წყალობით
ყალბ ნიადაგზე იყო დამყარებული და მოზარდთაობას სიყრმითვე გულში
უკლავდნენ საუკეთესო გრძნობებს სამშობლოს სიყვარულისას. დედაენა,
ეს საუკეთესო მძლავრი იარაღი სწავლა-აღზრდის საქმეში, თითქმის უარ-
ყოფილი და დევნილი იქმნა, არა თუ საშუალო სასწავლებლებში, არამედ
პირველდაწყებით სახალხო სკოლებშიაც და ამგვარად ჩვენს მოზარდ-
თაობას მოესპო ერთად ერთი ნორმალური გზა ჭეშმარიტი განვითარებისა.
თავდადებულ მასწავლებლებს უხდებოდათ ამ ნიადაგზე ბრძოლა რუსიფი-
კატორებთან და თვით პოლიციელებთან, როგორიც იყვნენ სახ. სკოლის
დირექტორები, მუჯური მეთოდის გამავრცელებლები ლევიცკი-კრუპსკი
სოკოლოვები, მათი ინსპექტორები სუდაკოვ-გრიზდოვები, და სასწავლო
ოლქის მზრუნველები იანოვსკ- ზავადსკ-რუდოლფები; მეფის_ნაცვლების
დონდუკოვ-კორსაკოვების და ვორონცოვ-დაშკოვების ბრძანებით იდევ-
ნებოდა მათი მოადგილის მეფის ნაცვლის მიხ. ს. მენიოვის მიერ
დამტკიცებული 1881 წლის სასწავლო გეგმა პირველი წლის განმავლობა
ში სამშობლო ენაზე სწავლების ნებართვის შესახებ... მოწინააღმდე-
გე მასწავლებლებს სდევნიდნენ და სჯიდნენ... ამიტომაც ლაზარე

ხმალაძე სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის სწავლებისათვის ინამჩირეში გადაისროლეს და იქიდანაც ორი წლის შემდეგ მოხსნეს და ოლქის მზრუნველს აცნობეს:" ხმალაძემ სამურზაყანოელები და აფხაზები გააქართველა" და 1895 წლიდან დაითხოვეს... შემდეგ რამდენიმე თვის წვალებისა მან მოახერხა ქუთაისის ქალაქის დაწყ. სკოლაში მასწავლებლის ადგილის შოვნა, რადგანაც ქალაქის სკოლა ექვემდებარებოდა ქალაქის თვითმმართველობას. აქ ლაზარემ იმუშავა ნაყოფიერად 4 წლიწადს, შემდეგ მიიწვიეს ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოსამზადებელ კლასში მასწავლებლად... განსვენებული ნიჭიერი კაცი იყო, დაუწყა თვითგანვითარებას და თანდათანობით თავთავის დროზე ჩააბარა სპეციალური გამოცდები სამაზრო და საქალაქო, უმაღლესი დაწყებითი და ბოლოს საშუალო სკოლის მასწავლებლის წოდებაზე.

1917 წლიდან დაინიშნა რეალური სასწავლებლის პირველი 4 კლასის ქართული ენისა და არითმეტიკის შვაცის მასწავლებლად და ამგვარად წარვიდა წინ. 1919 წლიდან დანიშნეს [illegible] სახ.სკოლების ინსპექტორად, შემდეგ უმაღლესი დაწყებითი სკოლების გამგედ. რამდენიმე ხნის შემდეგ გადაყვანილ იქნა საბჭოთა შვიდწლედებში, ცხრა და ათ წლედში სასწავლო ნაწილის გამგედ. ქუთაისის ყოფ. ქართულ გიმნაზიაში, შემდეგ ი. ჭავჭავაძის

სახ. მესამე ათწლედში იმუშავა დიდხანს ნაყოფიერად. 1943 წლიდან ბიბლიოთეკა დანიშნეს ქუთაისის ვაჟთა მე-5 საშუალო სკოლაში გამგედ. უკანასკნელ დროს ავადმყოფობისა გამო გამგეობას თავი დაანება და დარჩა მათემატიკის მასწავლებლად და დღემდე მუშაობდა.

ამგვარად ლაზარემ ყველა საფეხურის სკოლაში იმუშავა და მიიღო სათანადო გამოცდილება. იწვევდნენ ხშირად სახ. მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე, იყო მასწავლებელთა მასწავლებელიც და მრავალი ახალგაზრდა გაზარდა შესაფერისად... პედაგოგიურ მოღვაწეობის გარდა ქუთაისში იგი ყოველგვარ კულტ-საზოგადოებრივ განმანათლებელ მუშაობაში ღებულობდა მონაწილეობას: მუშაობდა სახალხო უნივერსიტეტში, საკვირაო სკოლაში, არქეოლოგიურ საზოგადოებაში, სასამართლოებში კალიგრაფიულ ექსპერტად, ნაციონალიზაციის საკითხებში, წიგნებისა და სხვა სახელმძღვანელოს გამომცემელ ამხანაგობაში იოსებ ოცხელთან და სილ. ხუნდაძესთან ერთად, იყო აქტიური ამოცანათა კრებულებისა და სხვ... საბჭოთა ხელისუფლებამ დააფასა მისი მოღვაწეობა მას მიანიჭა 1939 წლიდან რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება და ბოლოს დააჯილდოვა ლენინის ორდენით..

- როგორც ადამიანი, განსვენებული იყო დაუზარებელი, მტკიცე ენერგიის, კარგი სამეგობრო-სამხანაგო, კეთილშობილი ხასიათის, მხიარული და დარბაისელი პიროვნება. მოსწავლეებს მეტად უყვარდათ

და დიდ პატივს სცემდნენ ყოველთვის. გულის მოსვლა, მოსწავლის დასჯა არ იცოდა; ყოველთვის წონბიერად და მამობრივად ექცეოდა მათ.

ის ყოველთვის მხიარული შედიოდა თავის მოსწავლეებთან. გაკვეთილების შემდეგ ის შეეკითხებოდა თავის თავს: აბა რა გავაკეთე კარგი დღეს. მას ახსოვდა ილია ჭავჭავაძის" დამკვირდიდან" სიტყვები: "კაცად მაშინ ხარ საქები

თუ ეს წესი წესად დაგდე:
ყოველ დღესა შენ თავს ჰკითხე
აბა დღეს მე ვის რა ვარგე?"

იგი ყოველთვის კეთილი რჩევით და დარიგებით ისტუმრებდა მოსწავლეებსა და მათმშობლებს. ამხნევებდა მათ და ანუგეშებდა.

ამხანაგო და მეგობარო ლაზარე! შენ პირნათლად შეასრულე შენი მოვალეობა. ყოველთვის მაღლა გეჭირა მასწავლებლის დროშა. ქართული სკოლა მუდამ ღრმა მადლობით და სიყვარულით მოგიგონებს შენ. შენი სახელი მუდამ აღბეჭდილი იქნება განათლების ტაძრის კედლებზე და სახალხო სკოლის ისტორიის ფურცლებზე.

მშვიდობით! ჩვენ კი ვინუგეშებთ ისევ გურამიშვილის სიტყვებით: " ყველას გვეწვევის სიკვდილი გვმართებს დავუხვდეთ მზადათ, ის ჩვენთან მოდის, ჩვენ ......, ვერსად ავუქცევთ გზათა.

~~~
~~~